საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/112 " 31 " ივლისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ვ. მშვენიერაძის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 23 ივლისის №1/106 განკარგულებით, მოსამართლის განცხადების საფუძველზე, ინიცირებულ იქნა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში მოსამართლის დანიშვნის საკითხი. აღნიშნულ პალატაში მოსამართლის 8 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 4 მოსამართლე ახორციელებს.

პროცესის ინიცირება განხორციელდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ვასილ მშვენიერაძის განცხადების საფუძველზე. გამოცხადებულ ვაკანსიაზე სხვა მოსამართლეთა განცხადებები არ შემოსულა.

ვასილ მშვენიერაძეს აქვს მოსამართლედ მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება. იგი სხვადასხვა დროს იყო საგარეჯოს რაიონული, გორის რაიონული, მცხეთის რაიონული და თბილისის საქალაქო სასამართლოების მოსამართლე და თავმჯდომარე. ამჟამად, იგი უფლებამოსილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში ახორციელებს. მისი სამოსამართლო სტაჟისა და გამოცდილების გათვალისწინებით ვ. მშვენიერაძე შეძლებს ასევე წარმატებით განახორციელოს უფლებამოსილება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოშიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლის შესაბამისად, ვასილ მშვენიერაძე გათავისუფლდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის თანამდებობიდან და თავისი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში დაინიშნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ, 2020 წლის 5 აგვისტოდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი